საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

03/09/2025

MES 9 25 0001065050

გადაწყვეტილება

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 01 მაისის №467472 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა დაწესებულების "მედიცინის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

ა) საბჭომ შეცვალა კლასტერული რეკომენდაცია 1.2 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს სწავლის შედეგების ჩამოყალიბება პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და დარგობრივი ტერმინოლოგიის გამიჯვნა, კომპეტენციების და კვლევითი პრაქტიკების დამატებით, რადგან ორივე პროგრამის სწავლის შედეგები ძალიან ზოგადია და მეტწილად იდენტურია.“

ბ) აკრედიტაციის საბჭომ 1.4 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს სასწავლო გეგმების (სასწავლო კომპონენტის ნაწილში) კორექტირება პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისიწინებით, რადგან ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა მეტწილად იდენტურია.“

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

გ) აკრედიტაციის საბჭომ 2.1 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია:

,,რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილებას. და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

დ) აკრედიტაციის საბჭომ 3.2 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია:

„რეკომენდებულია, სამეცნიერო ხელმძღვანელის კვალიფიკაციების მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ფორმალურად გაიწეროს შესაბამის დოკუმენტში (მაგალითად, ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო

ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროსთან დაკავშირებით და ა.შ.)".
აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ე) აკრედიტაციის საბჭომ 4.1 კომპონენტში დაამატა კლასტერული რეკომენდაცია:
„რეკომენდებულია, ფორმალურად გაიწეროს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან"
და აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", რომელმაც არ გამოიწვია სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "მედიცინის მეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის სხდომის №1065040 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს სწავლის შედეგების ჩამოყალიბება პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და დარგობრივი ტერმინოლოგიის გამიჯვნა, კომპეტენციების და კვლევითი პრაქტიკების დამატებით, რადგან ორივე პროგრამის სწავლის შედეგები ძალიან ზოგადია და მეტწილად იდენტურია;
- რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს სასწავლო გეგმების (სასწავლო კომპონენტის ნაწილში) კორექტირება პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისიწინებით, რადგან ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა მეტწილად იდენტურია;
- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს "ასისტენტობის" სილაბუსი, რომ მკაფიოდ განისაზღვროს საკონტაქტო საათების რაოდენობა, კრედიტების განაწილება, დეტალური შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმები და განსაზღვრული სწავლის შედეგები. აღნიშნული გააძლიერებს სილაბუსის გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობას და აკადემიურ კომპონენტს.
- რეკომენდებულია, განახლდეს "ასისტენტობის" კურსის შეფასების პროცესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი დასრულება იმავე სემესტრში, მინისტრის მე - 3 ბრძანების (05.01.2007), მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად;
- რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს სასწავლო გეგმების (სასწავლო კომპონენტის ნაწილში) კორექტირება პროგრამის შესაბამისი დარგის სპეციფიკის გათვალისიწინებით, რადგან ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა მეტწილად იდენტურია;
- რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილებას;
- რეკომენდებულია, დაკორექტირდეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესი (მე-17 მუხლი, სადისერტაციო ნაშრომის დაცვა), იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საჯარო დაცვა და თავისუფალი დასწრება ყველა დაინტერესებული პირისთვის;
- რეკომენდებულია, სამეცნიერო ხელმძღვანელის კვალიფიკაციების მოთხოვნები შესაბამისობაში მოვიდეს სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და ფორმალურად გაიწეროს შესაბამის დოკუმენტში (მაგალითად, ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროსთან დაკავშირებით და ა.შ.);
- რეკომენდებულია, ფორმალურად გაიწეროს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტთან;
- იმის გათვალისწინებით, რომ განვითარების სრული ციკლი უზრუნველყოფს სისუსტეების აღმოფხვრას და შიდა ხარისხის შეფასების შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან და რეგულაციებთან, რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებისათვის დაინერგოს უფრო პრაქტიკული მიდგომები.
- დაკორექტირდეს "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები, რომ უკეთ აისახოს დარგობრივი კომპეტენციები, როგორიცაა მოსახლეობის ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია და ჯანდაცვის პოლიტიკა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 18 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 18 აგვისტო.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ელიზბარაშვილი ელიზბარ

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
ფურცელი
ელექტრონული